ლელო

№ 76
(11036)

23 — 26 ნოემბერი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

უკანასკნელ საათს

● 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს დაინიშნა ფეხბურთში მიმდინარე საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო გამოტოვებული მატჩი. იგი ზუგდიდში გაიმართება, სადაც ადგილობრივი „ოდიში" ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს თბილისის „დინამოს" მიიღებს.

ორშაბათს კი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისის დინამოელები ინგლისს მიემგზავრებიან, სადაც სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ამ ტურნეში მონაწილეობის მისაღებად ვლადიკავკაზის „ალანიამ" „დინამოს" მურთაზ შელია და ზაზა რევიშვილი ათხოვა.

● კიევის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულებას შეუდგა ცნობილი უკრაინელი საფეხბურთო სპეციალისტი ვალერი ლობანოვსკი. იგი კენიიდან ჩამოვიდა, სადაც წვრთნიდა ადგილობრივ ეროვნულ ნაკრებს.

● ესპანეთის „ვალენსიის" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტ პაკო როიგსა და მწვრთნელ ლუის არაგონესს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, რამაც ეს უკანასკნელი აიძულა გუნდიდან წასულიყო. მის ადგილზე სამ კანდიდატურას ასახელებენ — სახელგანთქმულ იოჰან კრუიფს, „სარაგოსადან" გაგდებულ ვიქტორ ფერნანდესს და ექსრეალელ ხორხე ვალდანოს.

● 1 დეკემბერს თეირანში ჩატარდება სტუდენტ მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ქართველი ფალავნებიც იასპარეზებენ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი

დინამო (თბილისი) — დინამო (ბათუმი) 3-3

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დინამო (თბ): ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე (ცქიტიშვილი), დიდავა, ზ. ჯელაძე (დემეტრაძე), გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ჯამარაული, კერძევაძე, კობიაშვილი, იაშვილი.
დინამო (ბთ.): ტოგონიძე, სიჭინავა, მინდაძე, შანიძე, შეყილაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი (ტრაპაიძე).
გოლები: 0-1 უჯმაჯურიძე (35, პენ.), 0-2 ტულუში (37), 1-2 დემეტრაძე (44), 1-3 ღლონტი (60), 2-3 დემეტრაძე (62, პენ.), 3-3 ცქიტიშვილი (65).
გააფრთხილეს: ი. მახარაძე, მინდაძე, კალაძე, მუჯირი, შანიძე, დიდავა.
გააძევეს: კალაძე, ი. მახარაძე.
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი).

სტუმრებმა ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს ქვეყნის ჩემპიონს, მათ კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. ბურთი მოედნის ცენტრში არ გაჩერებულა და მატჩი სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. შეხვედრის შედეგმა, ეტყობა, ორივე გუნდი დააკმაყოფილა.

ამრიგად ჩასატარებელი დარჩა პირველი წრის მხოლოდ ერთი გადადებული მატჩი: ოდიში (ზუგდიდი) — დინამო (თბილისი).

აი, როგორია გუნდების სატურნირო მდგომარეობა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბილისი)	14	12	2	0	60-12	38
დინამო (ბათუმი)	15	10	4	1	49-9	34
კოლხეთი-1913 (ფოთი)	15	10	2	3	34-19	32
მარგვეთი (ზესტაფონი)	15	9	1	5	26-21	28
მერანი-91 (თბილისი)	15	7	4	4	22-17	25
ოდიში (ზუგდიდი)	14	7	1	6	26-14	22
გურია (ლანჩხუთი)	15	6	2	7	17-25	20
დილა (გორი)	15	5	5	5	14-19	20
ტორპედო (ქუთაისი)	15	6	1	8	32-34	19
სამტრედია	15	6	0	9	16-28	18
თსუ-შევარდენი (თბილისი)	15	4	6	5	17-19	18
მეტალურგი (რუსთავი)	15	5	1	9	25-35	16
სამგურალი (წყალტუბო)	15	4	2	9	14-33	14
ივერია (ხაშური)	15	3	3	9	9-18	12
სიონი (ბოლნისი)	15	3	2	10	11-22	11
კახეთი (თელავი)	15	4	0	11	6-34	7

არ გეგონოთ, რომ მოგებულ „კახეთს" 12-ის ნაცვლად 7 ქულა დავუწერეთ. ჩვენ კი არა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ჩამოაკლო თელაველებს 5 ქულა. საქმე იმაშია, რომ პირველი წრის ბოლო მატჩში („კახეთი" — „მარგვეთი") თელაველი გულშემატკივრები ფიზიკურად გაუსწორდნენ მსაჯს — ფიფას არბიტრ მერაბ მალაღურაძეს.

ამრიგად, ვაი-გულშემატკივართა წყალობით „კახეთი" სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე აღმოჩნდა და ჯგუფიდან გავარდნის აშკარა პრეტენდენტია. არადა, გვახსოვს, დიდი ენერგია შეალიეს თელაველებმა უძლიერესთა შორის რომ დამკვიდრებულიყვნენ! გვახსოვს, კახელი ფეხბურთის მოყვარულებო თქვენი სიხარული ჭიათურის „მაღაროელთან" გადამწყვეტი მატჩის შემდეგ რომ განიცადეთ და გაკვირვებულები ვართ — რა ხდება, რაშია საქმე? მიზეზების დადგენა შორს წაგვიყვანს და ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა. ისე კი, ერთს დავსძენთ, თელავში მსაჯის გალახვა არახალია. თავის დროზე გივი ჩოხელის სახელობის სტადიონზე ფიზიკურად გაუსწორდნენ ისეთ ავტორიტეტულ არბიტრებს, როგორებიცაა თამაზ ლორთქიფანიძე, მალხაზ კობიაშვილი (პარადოქსია, მაგრამ ფაქტი — სწორედ კობიაშვილი იყო, ვინც იმსაჯა გადამწყვეტი მატჩი ჭიათურაში და მთელი თელავი მის მზეს ფიცულობდა, მაგრამ შემდეგ საფეხბურთო სეზონში გულმავიწყმა კახელმა გულშემატკივრებმა ისიც გალახეს).

ზემოხსენებულ სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონაში მომხდარი ინციდენტი: ფოთის „კოლხეთი-2" — ტყიბულის „მეშახტის" მატჩის ბოლო წუთებზე. მას შემდეგ, რაც სტუმრებმა გოლი გაიტანეს, მინდორზე მაყურებლები გადმოცვივდნენ და საბრალო მსაჯები ვახტანგ ჩოჩიშვილი და გიორგი მდინარაძე „ფეხქვეშ ამოიდეს". მოქმედი დებულებით მასპინძელთა გუნდს, რომელმაც მსაჯთა უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო, ხუთი ქულა მოაკლეს.

როგორც იცით, პირველი წრის ბოლო ტურში ლანჩხუთის „გურიამ" ფოთის „კოლხეთი-1913"-ს უმასპინძლა. ურთიერთშელაპარაკების გამო მსაჯმა ისინი მინდვრიდან გააძევა. ამიტომ სადისციპლინო კომიტეტმა ორივეს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 100-ლარიანი ჯარიმა „აჩუქა".

ბ. გურგენიძეს და ვ. შუბლაძეს - ღირსების ორდენი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ პირველი ქართველი დიდოსტატი **ბუხუტი გურგენიძე** და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**.

მილოცვა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და კალათბურთის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ევროპის სამგზის ჩემპიონს კალათბურთში, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს **გურამ მინაშვილს**.

ძიუდო და ფეხბურთი სპორტის სასახლეში

ძიუდოს მოყვარულთ ამ შაბათ-კვირას საინტერესო სანახაობა ელით — თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. შეჯიბრება ორივე დღეს დილის 11 საათიდან დაიწყება.

ამავე დარბაზში 15 დეკემბრიდან სატელიტური ტელევიზია „აიეტი TV" აწყობს საშობაო ტურნირს მინიფეხბურთში.

კალათბურთი ● ეროვნული ჩემპიონატი

21 ნოემბერი: ასკ-სტუ — მერანი 114-61, დინამო-2 — დინამო 80-104, კოლხა — ს.დ.ა.ს.უ. 67-100.

ამ მატჩების გათვალისწინებით გთავაზობთ სატურნირო ცხრილს:

	თ.	მ.	წ.	ქ.
დინამო (თბ.)	9	9	0	9
ს.დ.ა.ს.უ. (თბ.)	9	8	1	8
შევარდენი (თბ.)	8	6	2	6
აზოტი (რუსთ.)	8	6	2	6
ვითა (თბ.)	5	5	0	5
მაკაბი-ინტერი (თბ.)	10	5	5	5
იმერეთი (ქუთ.)	10	3	7	3
ასკ-სტუ (თბ.)	10	3	7	3
კაქტუსი (თბ.)	9	3	6	3
კოლხა (სოხ.)	9	2	7	2
მერანი (თბ.)	8	1	7	1
დინამო-2 (თბ.)	9	1	8	1

მოამზადა გოგა ლომიძემ

წერილი რედაქციას!

ნება მოგვეცით „ლელოს" საშუალებით დიდი მადლობა მოვახსენოთ ყველას, ვინც თანაგვიგრძნო ჩვენი ღრმა მწუხარების ჟამს.

ნოდარ გვახარიას
ოჯახი



საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალური წყვილები ცნობილია

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს თასის მეშვიდე გათამაშების მერვედფინალის კენჭისყრა. მისი მოწყობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიმართა მეთექვსმეტედფინალის ბოლო მატჩი: დინამო-2 (თბილისი) — დილა (გორი). მასპინძლებმა ტოლი არ დაუდეს უფრო გამოცდილ გორელებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2-0.

მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

დინამო (თბილისი) — დინამო-2 (თბილისი),
მეტალურგი (რუსთავი) — მერანი-91 (თბილისი),
ივერია (ხაშური) — თსუ-შევარდენი (თბილისი),
სიონი (ბოლნისი) — ასკ (თბილისი),
სამგურალი (წყალტუბო) — ოდიში (ზუგდიდი),
დინამო (ბათუმი) — ტორპედო (ქუთაისი),
სამტრედია — კოლხეთი-1913 (ფოთი),
გურია (ლანჩხუთი) — მარგვეთი (ზესტაფონი)

მატჩები გაიმართება 25 და 29 ნოემბერს.

სპორტული ცეკვები

„ოქროს საწმისი — 96"



სპორტული ცეკვების საქართველოს ეროვნულმა ასოციაციამ თავისი საქმიანობით და ნიჭიერი მოცეკვავეებით შორს გაითქვა სახელი. ქართული საცეკვაო სკოლის აღიარებაა, რომ ჩვენთან გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობას დიდი სიამოვნებით თანხმდებიან უცხოეთის წარმომადგენლები. ამჯერად გამართულ საქართველოს ღია ჩემპიონატში, რომელიც ჩატარდა დევიზით „ოქროს საწმისი — 96", რუსეთმა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა გამოაგზავნეს თავიანთი მოცეკვავეები. კონკურსი ცალცალკე ტარდებოდა 12, 14 და 19 წლამდე ასაკში, პროგრამაში კი ევროპული და ლათინურ-ამერიკული ცეკვები შედიოდა.

ყველაზე მეტი საპრიზო ადგილები თბილისელებმა მოიპოვეს — 10, შემდეგ მოდიან ბაქოელები — 6 და ერევნელები — 2, რუსეთის წარმომადგენლები კი საპრიზო ადგილის მიღმა დარჩნენ.

ჩვენებიდან ევროპულ ცეკვებში 19 წლამდე ასაკში უძლიერესები იყვნენ დავით კულუმბეგაშვილ — კვირიკაშვილის წყვილი, მეორე ადგილზე გავიდნენ ვლადიმერ სარქისიანი და ეკა შენგელია. ამ წყვილებმა ასეთივე თანმიმდევრობით გაინაწილეს ადგილები ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში. 14-წლიანებში მამუკა ბახტაძე და ივეტა ხატიაშვილი მეორე ადგილზე გავიდნენ ევროპულ ცეკვებში, ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში კი მესამე ადგილს დასჯერდნენ. 12-წლიანებში ორივე პროგრამაში მესამე იყო დევი დევდარიანისა და სოფიკო გუგენიშვილის წყვილი.

ეკა კისკვიძე

ჭიდაობა ჩვენი, ქართული

ისევ საგარეჯოში, ისევ სამაგალითოდ!

იმის დასტურად, რომ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ქართული ჭიდაობის ფედერაცია (პრეზიდენტი ნ. იაშვილი) სპორტის ამ ეროვნული სახეობის მასობრიობისათვის პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამენ, საგარეჯოში ამ დღეებში გამართული კიდევ ერთი ღონისძიებაც გამოდგება. ეს იყო უფროსი ასაკის ფალავანთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელმაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიწვეულ რჩეულ სპორტსმენებს მოუყარა თავი. დაუღალავი ენთუზიასტის წარსულში ცნობილი სპორტსმენის ბიჭიკო მარიდაშვილის ხელმძღვანელობით ეს ასპარეზობა საგარეჯოში ამჯერადაც მაღალ დონეზე ჩატარდა. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ დ. ციმაკურიძე, ნ. იაშვილი, ს. მაისურაძე, ი. იმერლიშვილი ძმები ქ. და ა. ნინიაშვილები.

საქართველოს 1996 წლის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს. კასპელებმა — მ. მაზმიშვილმა (56 კგ), გ. ფალიაშვილმა (68), ს. პავლიაშვილმა (84), საგარეჯოელებმა — გ. მეკოკიშვილმა (60), რ. ნინოშვილმა (64), ზ. კოზმანაშვილმა (72), დ. მგალობლიშვილმა (78), ნ. გაგნიაშვილმა (90) და თერჯოლელმა ვ. გაბიანმა (მძიმე).

სააგენტო **„ბუმათე"**

PONTO TOTO

საფეხბურთო ლატარია

ყოველ პარასკევს - კინოს სახლში

ტირაჟები ქვეყნდება ყოველ შაბათს „ლელოში". მომავალ პარასკევს თქვენ შეგიძლიათ ითამაშოთ და მოიგოთ. მხოლოდ კინოს სახლის ფოიეში მიიღება ფსონები და გაიცემა მოგებები ყოველ პარასკევს 12 საათიდან 17 საათამდე (მეტრო რუსთაველთან).

ტირაჟი №13

„ვალიადოლიდი" — „ატლეტიკო" ბ (ესპ)
„ვალენსია" — „სელტა" (ესპ)
„კომპოსტელა" — „ბეტისი" (ესპ)
„სარაგოსა" — „ოვიედო" (ესპ)
„ატალანტა" — „ნაპოლი" (იტ)
„იუვენტუსი" — „ბოლონია" (იტ)
„რომა" — „ფიორენტინა" (იტ)

ტირაჟი №14

„სტ. პაული" — „ბოხუმი" (გერ)
„შტუტგარტი" — „ბაიერნი" (გერ)
„ბაიერ-04" — „კიოლნი" (გერ)
„ბლექბერნი" — „საუთჰემპტონი" (ინგ)
„ლიდსი" — „ჩელსი" (ინგ)
„ნიუკასლი" — „არსენალი" (ინგ)
„ტოტენჰემი" — „ლივერპული" (ინგ)

თუ ფსონი 1-დან 7 ლარამდეა, აუცილებელია ტირაჟის შვიდივე მატჩის ბილეთში შეტანა და მხოლოდ შედეგების (1,X,2) გამოცნობა. თამაშის წესებს დაწვრილებით გაეცნობით ბილეთის უკანა მხარეს.

სამივე ტირაჟის საფეხბურთო მატჩებზე ფსონები მიიღება 29 ნოემბერს. მატჩები შედგება 30 ნოემბერს და 1 დეკემბერს.

ტირაჟი №15 (toto 3÷7)

	1	X	2
„სევილია" — „ლა კორუნია"	1,7-2,0	2,5-3,0	1,2-1,5
„ლოგრონიესი" — „ერკულესი"	1,5-1,8	2,0-2,5	2,0-2,5
„ტენერიფე" — „რ. ვალეკანო"	1,2-1,5	2,5-3,0	3,0-4,0
„რ. სოსიედადი" — „ესპანიოლი"	1,2-1,5	2,5-3,0	3,0-4,0
„ატლეტიკო" მ. — „რეისინგი"	1,2-1,5	2,5-3,0	4,0-5,0
„პერუჯა" — „ვიჩენცა"	1,5-2,0	2,0-2,5	2,0-2,5
„პიაჩენცა" — „მილანი"	1,5-2,0	2,5-3,0	1,2-1,5
„რეჯანა" — „ლაციო"	1,5-1,8	2,0-2,5	2,0-2,5
„უდინეზე" — „პარმა"	1,2-1,5	2,5-3,0	3,0-4,0
„ვერონა" — „სამპდორია"	2,0-2,5	2,5-3,0	1,2-1,5
„ბორუსია" დ — „ჰამბურგი"	1,2-1,5	2,5-3,0	3,0-4,0
„ბორუსია" მ. — „დუისბურგი"	1,2-1,5	2,5-3,0	3,0-4,0
„ჰანზა" — „არმინია"	2,0-2,5	2,5-3,0	1,5-2,0
„ფრაიბურგი" — „შალკე-04"	1,2-1,5	2,5-3,0	3,0-4,0
„მიუნხენ-1860" — კარლსრუე	1,5-1,8	2,5-3,0	1,2-1,5
„ფორტუნა" — „ვერდერი"	1,5-1,8	2,5-3,0	1,5-2,0
„ასტონ ვილა" — „მიდლსბრო"	1,5-1,8	2,0-2,5	2,0-3,0
„დერბი ქ." — „ქოვენთრი"	1,2-1,5	2,5-3,0	3,0-4,0
„ევერტონი" — „სანდერლენდი"	1,2-1,5	2,5-3,0	4,0-5,0
„მანჩესტერი" — „ლესტერი"	1,2-1,5	3,0-3,5	4,0-5,0
„შეფილდი" — „ვესთ ჰემი"	1,2-1,5	2,5-3,0	3,0-4,0
„ბოავიშტა" — „სეტუბალი"	1,5-1,8	2,5-3,0	3,0-4,0
„ფარენსე" — „ბრაგა"	1,2-1,5	2,0-2,5	3,0-4,0
„ლეცა" — „პორტუ"	2,0-2,5	2,5-3,0	1,2-1,5
	1	X	2

ბილეთში უნდა შეიტანოთ მინიმუმ სამი, მაქსიმუმ — 7 მატჩი და გამოიცნოთ შედეგები. შესაბამისად სვეტების მიხედვით (1,X,2). თქვენ საშუალება გექნებათ მიიღოთ აგრეთვე პრემიალური მოგებები თქვენს მიერ სწორად გამოცნობილი შედეგებიდან თუნდაც ერთი გამოცნობილი ანგარიშისათვის. ფსონზე შეზღუდვა არ არის.

ტირაჟი S_1

გრძელდება ფსონების მიღება ევროპის ქვეყნების ჩემპიონების გამოცნობაზე. ვისაც სურს ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ჩემპიონის გამოცნობა, უნდა შეგვითანხმოს ფსონები და კოეფიციენტები. ყოველი თვის შემდგომ კოეფიციენტები თანდათან მცირდება.

გისურვებთ წარმატებას!

შენი ბედის ვარსკვლავი

მშვილდოსანი ⌘ 22 ნოემბერი — 21 დეკემბერი

მშვილდოსანს ლამაზი სიმბოლო აქვს

კენტავრისთვის უმთავრესი პირადი დამოუკიდებლობაა. ამას ძირითადად კარიერისა და ფინანსური მწვერვალების დაპყრობით ცდილობს. პლანეტა იუპიტერი ყველასათვის სანუკვარი მფარველი იქნებოდა, მაგრამ იგი თავის გავლენას მხოლოდ მშვილდოსანს ახმარს და აჯილდოებს წარმატებით, სახელითა და კეთილდღეობით. წარმატებას ისინი სიცოცხლის პირველ ნახევარში იშვიათად აღწევენ. ცეცხლის ნიშანთან სიახლოვე მათ ზღვა ენერგიითა და იმპულსებით ავსებთ. კენტავრები იშვიათად კარგავენ წარმატების იმედს, რაც მათი ინტუიციის სისწორეზე მიუთითებს. გამარჯვება უეჭველად მოვა, თუკი საკუთარი თავის რწმენას არ დაკარგავს.

მშვილდოსანი მოუსვენარი და ლაღია. უყვარს თავგადასავლები. მაგრამ სიახლესთან ცოტა მწყალად არის. კონსერვატიული ბუნება აქვს. მშვილდოსანი შეუდარებელი მეგობარია, ერთგულია და გულღიაა. შეუძლია მეგობარს პირდაპირ მიახალოს, რასაც ფიქრობს. მაგრამ იმდენად გულკეთილია, რომ მეგობრები თითქმის არასოდეს არ ნაწყენდებიან მათ უხეშობაზე. თუ გინდათ ობიექტურად შეგაფასონ, ყური უგდეთ მეგობარ მშვილდოსანს და თავი ვაჟკაცურად დაიჭირეთ.

თავიანთი პირდაპირობით ისინი ხშირად უკიდურესობაშიც ვარდებიან — უხეშობენ. ამას კი მხოლოდ ახლობლები თუ აღიქვამენ, როგორც გულახდილობას. და კიდევ, მშვილდოსანი პატიოსანი და კეთილსინდისიერია, თვალთმაქცობის ნატამალიც არ გააჩნია. კენტავრი არასოდეს უარს არ ამბობს უანგარო დახმარებაზე.

მშვილდოსანი რთული ფიგურაა. მატერიალისტური და იდეალისტური მოთხოვნილებანი და მიდრეკილებანი თანაბრად ერწყმის მის ხასიათში. განსაკუთრებით სასიამოვნო და მრავალმხრივია მაღალგანვითარებული მშვილდოსნის ტიპი, იგი ორივე ფეხით მყარად დგას დედამიწაზე. თუ პიროვნების განვითარება საკმარისად მაღალი არ არის, აშკარად შეიგრძნობა მათში ვიტალური ინსტინქტების მაღალი აქტივობა, თუმცა ეს მათ ხასიათს სიცოცხლეს და მომხიბვლელობას მატებს. ასეთი ტიპები გამოირჩევიან ცხოველებისა და საერთოდ ცოცხალი ბუნებისადმი სიყვარულით და ინტერესით.

თუ მშვილდოსანმა კარგი აღზრდა და განათლება მიიღო, მისგან მოსალოდნელია ამაღლებული და განყენებული დახვეწილი აზროვნების პიროვნების ჩამოყალიბება. ამ ნიშნით დაბადებულთა პროფესიები საკმაოდ დიდ დიაპაზონში ცვალებადობს — დაწყებული სპორტსმენებიდან და გათავებული ფილოსოფიითა და ხელოვნების მოღვაწეებით (თუკი თავს დაანებებენ კონსერვატიზმს).

მართალია მშვილდოსნები გატაცებული არიან ფულის შოვნით და დაგროვებით, მაგრამ თუ ფლანგვას მიჰყვეს ხელი, ბოლომდე მოიკლავენ სიამოვნების სურვილს და არც ახლობლებს დატოვებენ გულნატკენს.

კენტავრთა დიდი უმრავლესობა ჩვილი გულით, სუსტისა და დაჩაგრულის მიმართ შემწყნარებლობით გამოირჩევა. ასეთთა ინტერესების დასაცავად იგივე ენერგიას ხარჯავენ, როგორც საკუთარი თავისთვის.

მშვილდოსანთა დიდი ენერგიულობა ხშირად გამოიხატება ზედმეტ დაძაბულობასა და ხასიათის სიფიცხეში. მათ უმრავლესობას მუშაობა ღამით ურჩევნიათ. დასვენება მათთვის უსაქმურობის ტოლფასია. კენტავრი ყოველთვის შორეულ და თანაც არაერთ მიზნისკენ ისწრაფვის. მისი ისარი ბასრია და პირდაპირი, მოკლებულნი არიან ურთიერთობაში დიპლომატიურ თვისებას.

სიყვარულში მშვილდოსანი რომანტიულია, ოღონდ ზოგიერთს ძალიან იტაცებს დაპყრობილ გულთა შთამბეჭდავი რაოდენობის სიის შედგენა. მოხიბვლის პერიოდი უფრო ართობთ, ვიდრე მიღწეული ნადავლი, ამიტომ იოლად უცრუვდებათ გული.

კენტავრისათვის არაჩვეულებრივად იღბლიანია საზღვარგარეთ მოგზაურობა და მოღვაწეობა, ოღონდ უცხო ქვეყანაში ყოველგვარი რისკი და აფიორა უნდა გამორიცხონ, რომ თავი მკვიდრ ნიადაგზე იგრძნონ. თუ თქვენ მშვილდოსანი ხართ, შეგიძლიათ ისეთი საქმიანობა აირჩიოთ, რომელიც მოგზაურობასა და ხშირ მიმოსვლასთან იქნება დაკავშირებული. ეს თქვენ წარმატებისაკენ მიმავალ უმოკლეს გზაზე გაგიყვანთ. ოღონდ გადაეჩვიეთ საქმის სანახევროდ კეთებას და თვითდინებაზე მიშვებას.

ქალი კენტავრი — მაღალი წრის ქალბატონია, დახვეწილი და ამაყი. ცხოვრებას ცივი და ფხიზელი თვალით აფასებს. უყვარს ყველაფერი, რასაც მაღალი კულტურის ნიშანი ატყვია. გამოიყურება ელეგანტურად და უსაზღვროდ მომხიბვლელია.

რაც შეეხება ჯანმრთელობას, აქ მათთვის პრობლემა არ არსებობს, გარდა ზედმეტი გადაძაბვის შედეგებისა და ინფექციური სნეულებებისა. მოსალოდნელია ტრავმები.

ამ ნიშნით დაბადებულნი არიან: ბეთჰოვენი, უოლტერ დისნეი, ფრენკ სინატრა, მარკ ტვენი და გამოჩენილ სპორტსმენთა დიდი უმრავლესობა.

მოამზადა
ნინო აფაქიძემ

მკითხველი – გაზეთი

ეკა აბრამია მიდის?

არა, ეკა აბრამია არც საქართველოდან მიდის და არც სპორტიდან – მოკლედ შეგვიძლია ასე ვუპასუხოთ თბილისელ მოსწავლეებს ინგა ნაცვლიშვილს და მანანა ტაბატაძეს, რომლებმაც გვთხოვეს დავადასტუროთ ან უარვყოთ ხმები იმის შესახებ, ჩვენი ოლიმპიელი გოგონა, მხატვრული ტანვარჯიშის „ქართველი ფერია" ეკა აბრამია თავს ანებებს სპორტს, თუ უცხო ქვეყანაში განაგრძობს თავის კარიერას...

სიმართლე გითხრათ, ჩვენ ამ ხმების შესახებ არაფერი ვიცოდით. დავუკავშირდით სპორტსმენის დედას, რომელმაც გვითხრა: ეკა ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და ყველაფერი წინ აქვს. ისე, ერთხანს, სადმე უცხოეთში წასვლას კი არა, საერთოდ აპირებდა თავი დაენებებინა სპორტისთვის. ვფიქრობ, დავარწმუნეთ, რომ შესწევს უნარი კვლავ გამოვიდეს მომავალ ოლიმპიურ თამაშებში და უკეთაც. ვარჯიშს აგრძელებს, თუმცა პირობები ისევ არასახარბიელოა. იმედია, ახლო მომავალში ჩვენგანაც გაივლის ერთი-ორი სპეციალისტი მსაჯების საერთაშორისო სემინარებს და დიდ ტურნირებში მაშინ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა გავხდებით, სპორტსმენებსაც სტიმული მიეცემათ.

ასე რომ, ეკა აბრამია სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადება.

სააგენტო „ბუმათე"

გახსენება

გურამ მეგრელიძე

ბოლო წლებში არაერთი რჩეული ვაჟკაცი წავიდა ამ ქვეყნიდან უდროოდ. ერთი მათგანი იყო გურამ მეგრელიძე, კაცთმოყვარე, სპეტაკი, საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება.

სპორტი იყო მისი გატაცებაც და პროფესიაც, რასაც ასე ერთგულად ემსახურა სიცოცხლის ბოლომდე. ყველასთვის, ვინც ამ დიდბუნოვან კაცს ახლოს იცნობდა, იგი იყო კეთილშობილების, მოყვასის გატანისა და თანადგომის საუკეთესო მაგალითი. ჩინებულად იცოდა ვის როგორ და როდის დახმარებოდა, თანაც ამას აკეთებდა უდიდესი სიყვარულით, ბუნებრივად, ხაზგასმისა და ყოველგვარი მინიშნების გარეშე. გურამს უყვარდა ადამიანები, ჰყავდა უამრავი მეგობარი და ისინიც სიყვარულს მიაგებდნენ სიყვარულის წილ. ეს კი გურამს ყველაზე დიდ ადამიანურ ჯილდოდ მიაჩნდა.

საქმეში ხომ ბოლომდე იხარჯებოდა, არასოდეს, არავისთან შეირცხვენდა თავს, პაიპარად არ იძლეოდა დაპირებას, მაგრამ რასაც ივალდებულებდა, უთუოდ ღირსეულად შეასრულებდა. ასე დაამახსოვრა მან თავი ყველას სპორტულ ორგანიზაციებში მუშაობისას. განსაკუთრებით სრულად გამოავლინა თავისი ნიჭი და შესაძლებლობები საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტული თამაშების განყოფილების უფროსად და ვარკეთილის სპორტული ბაზის დირექტორად მუშაობისას. ბევრს ილვწოდა სპორტის ეროვნული სახეობების, განსაკუთრებით ლელობურთის აღსადგენად. მიენიჭა დამსახურებული მწვრთნელის წოდება. ვარკეთილის ბაზა სამაგალითოდ იქცა მის ხელში, ბევრი გააკეთა და არაერთი ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის მზად იყო, მაგრამ...

ამ დღეებში გურამი 60 წლისა გახდებოდა. ისღა დაგვრჩენია წარსულში მოვიხსენიოთ მისი სახელი, გავიხსენოთ ეს ნათელი პიროვნება, რომელმაც ჭეშმარიტად ქრისტესმიერი სიყვარულით იცხოვრა ამ ქვეყანაზე.

მეგობრები

ვასილი სტალინი: „თუ გინდათ თბილისის „დინამოსთვის“ პირაევის ნაცვლად აკიმოვს მოგცემთ!“...

„ერთხელ მიხეილ პირაევმა, ყველას გასაოცრად, ორი მამალი დაიჭირა ერთდროულად — ისეთი დიდებული რეაქცია ჰქონდა ამ მეკარეს... იგი ელვისებურად აღიმართებოდა ხოლმე კარის ზედა კუთხეში, თვალის დახამხამებაში ისკუპებდა დაბალ კუთხეში“ — წერს თავის მემუარულ წიგნში „ფეხბურთი განა მხოლოდ თამაშია?“ ტყავის ბურთის სახელგანთქმული ოსტატი ნიკიტა სიმონიანი. სხვათა შორის, ავტორმა ეს წიგნი თავის დროზე ჩვენც გამოგვიგზავნა მოსკოვიდან გულთბილი სასაჩუქრო წარწერით. სწორედ ზემომოტანილი ციტატით დავიწყეთ საუბარი ცნობილ თბილისელ მეკარესთან მიხეილ პირაევთან.



ასეთ თავგანწირულ ნახტომებში იღებდა ბურთებს მიხეილ პირაევი. ფოტო გადაღებულია 1953 წელს ბუდაპეშტში უნგრეთის მთავარი სტადიონის —„ნეპშტადიონის“ საზეიმო გახსნის დღეს ადგილობრივი „ჰონვედისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩის დროს 2-1. მარცხნიდან: ანატოლი ბაშაშკინი, ნიკოლაი ტიშჩენკო, ნანდორ ჰიდეგკუტი (უნგრელთა ცნობილი ცენტრფორვარდი), იგორ ნეტო და მიხეილ პირაევი.

— დიდი არაფერი! ასე მე ბავშვობაში ხშირად ვიჭერდი ხოლმე მიწაზე დამჯდარ მტრედებს, მერე კი ტარასოვკას სპორტული ბაზის მახლობლად ნაძვნარში სხვადასხვა ფრინველებს — ეღიმება ჩვენს მოუბარს — იმ დღეს ნიკიშა (ასე ეძახდნენ მეგობრები ნ. სიმონიანს მოფერებით. ო.ნ.) რომ იხსენებს, სპარტაკელები ჩვეულებისამებრ ტარასოვკაში მივდიოდით ვარჯიშზე. დავინახე ორი უზარმაზარი მამლაყინწა, საჩხუბრად რომ ემზადებოდნენ. ჯერ ჯიქურ დააცქერდნენ ერთმანეთს, მერე ნისკარტები დაუპირისპირეს და გაუსწორეს ერთმანეთს, როგორც ეს ბაზრის სასწორმა იცის, ბოლოს უცებ მძლავრად ახტნენ ჰაერში და სწორედ ამ დროს ვისკუპე მათკენ, კისერში წავწვდი ორივეს სწრაფად...

უნებლიედ გამახსენდა ჩვენი „დინამოს“ დიდებული მეკარე ალექსანდრე დოროხოვი, მისი მონაყოლი უცნაურ ვარჯიშებზე საქათმეში, როდესაც იმხანად ახალგაზრდა გოლკიპერი ასევე თავგანწირულ ნახტომებში იჭერდა დედალ-მამლებს მათი გაუთვალისწინებელი, ალოგიკური ტრაექტორიების დროს. აქვე ვუამბე ეს ამბავი მ. პირაევს, შევატყე, ესიამოვნა, თუმცა იქვე დასძინა:

— მოდი, დოროხოვს ნუ შემადარებ. იგი, შეიძლება ითქვას, მართლაც შეუდარებელი ფეხბურთელი იყო, თბილისის „დინამოს“ ყველა დროის საუკეთესო მეკარე! მე ბევრი ბრწყინვალე გოლკიპერის თამაში მინახავს, სხვებზე მეტად მომწონდნენ ალექსეი ხომიჩი, ლეონიდ ივანოვი, ვლადიმერ მარღანია, ლევ იაშინი, სერგო კოტრიკაძე. აი, შურა დოროხოვი მაინც ყველას მერჩივნა. ჩემი აზრით, მას მხოლოდ მოსკოველი სპარტაკელი ვლადისლავ ჟმელკოვი თუ სჯობდა, მოგვიანებით თბილისის „სპარტაკსა“ და ტოდო-ში რომ თამაშობდა. აბა, რა გასაკვირია, რომ ბავშვობაში უმრავლესობა დოროხოვს ვბაძავდით, ვცდილობდით მასავით დაგვეჭირა ბურთი და დოროხოვისებური ნახტომები გაგვეკეთებინა.

... ნიკოლაევის (მერე კალინინის ქუჩა) №73 სახლში მიშა პირაევის მეზობლად ცხოვრობდა მისი თანატოლი გივი ქართველიშვილი. სწორედ მან ასწავლა ბიჭებს ფეხბურთი და როდესაც მამამისმა ნამდვილი ტყავის ბურთი მოუტანა, ყველანი საბოლოოდ გადაირია ამ თამაშზე.

— შენ ყველაზე პატარა ხარ, თანაც გამხდარი, ამიტომ მეკარე იქნები! — უბრძანა გივიმ მიშას, თავად კი ცენტრფორვარდობა ირჩია და რაც ძალა და ღონე ჰქონდა უბათქუნებდა ბურთს იმპროვიზირებულ კარში. კარგი რომ 7 წლის შავტუხა ასირიელ (თბილისში მათ რატომღაც აისორებს უწოდებენ) მიშას მეზობლებმა მუხლების დასაცავად რაღაც „ნაკალენიკები“ შეუკერეს, თორემ სულ გადაიტყავებდა ფეხებს ეზოს ასფალტზე.

პლეხანოვის პროსპექტისა და მარჯანიშვილის (მაშინდელი მიხაილოვის და კიროჩნის) ქუჩების შესაყარზე, ახლანდელი ჩოგბურთის კორტების ადგილას, უწინ გერმანული სკოლა მდებარეობდა. ბიჭებს იქვე სკოლაში თავისი „სტადიონი“ გაემართათ — საკმაოდ დიდი ეზო იყო, რომლის ბოლოებში ზორბა ლოდებით „შტანგები“ მოენიშნათ. სხვათა შორის, სწორედ ამ „სტადიონზე“ აიდგა ფეხი შემდეგში ტოდო-ს ცნობილმა მცველმა კონსტანტინ ლოგინოვმაც.

— პირველი მატჩი წავაგეთ და მერე მეტწილად ვაგებდით ხოლმე. საქმე ისაა, რომ ჩვენს მეტოქეებს სათამაშოდ ბევრად უფროსი ბიჭები გამოჰყავდათ. ამავე სკოლაში სწავლობდა ლავრენტი ბერიას შვილი — სერგო. შესვენების დროს იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენს მატჩებს თავის გერმანელ აღმზრდელ ქალთან ერთად.

შაბათი-კვირა არ დადგებოდა, მიშას გუნდს რომ ფეხბურთი არ ეთამაშა სადმე — არსენალზე, იპოდრომზე დიდუბეში, პლანეროდრომზე ვაკეში (იქ, სადაც „ლოკომოტივის“ სტადიონია) ან კიდევ სხვაგან. ერთ-ერთ ასეთ მატჩში ნახა იგი ძველმა ფეხბურთელმა, დოროხოვის მეგობარმა სერგეი კუზმინმა.

— გინდა დოროხოვივით თამაში? — შეეკითხა იგი მ. პირაევს — მაშინ მოდი ჩვენთან რადიოქარხანაში, ხარატის მოწაფედ მოგაწყობ და ჩვენს ფეხბურთელთა გუნდშიც — „მოლოტში“ ჩაგრიცხავ.

ეს 1936 წელს იყო, მიშა პირაევს მაშინ 15 წელი შეუსრულდა. მოხდა ისე, რომ მომავალი მეკარე თავდაპირველად რატომღაც თავდასხმაში ათამაშეს მარცხენა ინსაიდად. მარცხენა გარემარბად მისი საამქროს უფროსი გამოდიოდა და მიშაც სულ მას აწვდიდა ბურთებს. უფროსმა პირველსავე მატჩში ოთხი თუ ხუთი გოლი გაიტანა მისი პასით. სპორტსაზოგადოება „მოლნიას“ თავმჯდომარემ, შემდგომში ცნობილმა მწვრთნელმა მძლეოსნობაში ბორის ტახტაროვმა შეუქო თამაში ნიჭიერ დებიუტანტს. მიშა „მოლნიაში“ 3 წელიწადს თამაშობდა.

დიდუბეში, ეკლესიასთან, მაშინ დოლები იმართებოდა ხოლმე რეგულარულად, ცხენებისგან თავისუფალ დროს კი იქ ბიჭები თამაშობდნენ ფეხბურთს.

— ერთხელ, 1936 წლის სეზონის ბოლოს, ჩვენს თამაშზე მოვიდა თბილისის „დინამოს“ პირველი მწვრთნელი, სახელგანთქმული „ფრანცი ჩეხი“ ჟიულ ლიმბეკი. მას ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი ნიკოლაი ლარიონოვი ახლდა. ყური მოვკარით მათ საუბარს: ლარიონოვი ეუბნებოდა ლიმბეკს — „გავრო ბოგატელო ფორმაში არაა და ჯერ-ჯერობით არ გამოგადგებათ!“ ბიჭებს გაგვიკვირდა: „როგორ? კაცი ნამდვილ გუნდში თამაშობს (ტსპო-სა თუ „ლოკომოტივში“) და ფორმა არა აქვს?“.

იმ დღეს ნ. ლარიონოვმა თავისი გუნდისათვის ორი ფეხბურთელი შეარჩია, ერთი მათგანი მიშა პირაევი იყო. ორივენი მეორე დღისთვის დაიბარა რკინიგზის მეხუთე სკოლაში. თურმე ნიჭიერ ფეხბურთელებს არჩევდნენ „ლოკომოტივის“ ჭაბუკთა გუნდისათვის. კვლავ შეამოწმეს მ. პირაევი იქვე მოედანზე და გუნდში ჩარიცხეს 15-20 მოთამაშესთან ერთად. ქალაქის პირველობაზე გამოიყვანეს მომდევნო წელს. მაგრამ მოხდა ერთი კურიოზი: ტურნირში „მოლნიაც“ გამოდიოდა. ასე რომ, მ. პირაევს... ერთდროულად ორივე გუნდში უნდა ეთამაშა. ერთმანეთს რომ შეხვედროდნენ?! ბოლოს მაინც „ლოკომოტივი“ არჩია. ამ დროს აქ თამაშობდნენ მომავალი კალათბურთელები ნოდარ ჯორჯიკია (ნახევარდაცვის ცენტრში) და შურა ვაჩაძე (მარცხენა გარემარბად). გუნდი საკავშირო შეჯიბრებაში გამოვიდა, ე.წ. „ლოკომოტივ იუგას“ პირველობაზე. პირველი მატჩი თბილისში ჩაატარეს გროზნოს გუნდთან და გაიმარჯვეს 3-1. კარში, ცხადია, მ. პირაევი იდგა. სხვათა შორის, პარალელურად თავის „მოლნიაში“ იგი კვლავ აგრძელებდა თამაშს... თავდამსხმელად. გუნდის მწვრთნელად ახლა ალექსანდრე ჟდანოვი დანიშნეს. ერთხელ თამაშზე არ გამოცხადდა მათი მეკარე — იგი ფრენბურთელიც იყო და ბაქოში გამგზავრებულა ტურნირზე. მეკარის სვიტერი მ. პირაევს ჩააცვეს. ძალიან ღელავდა, მაგრამ... მეტოქეთა გუნდიც არ გამოცხადდა სათამაშოდ. მატჩის მსაჯმა ნიკოლაი სოლტანმა („კაშვარას“ რომ ეძახდნენ) ა. ჟდანოვთან ერთად სახელდახელო მეცადინეობა ჩაუტარა ახალგაზრდა მეკარეს — დაიმარტოხელა იგი და გაუთავებლად ურტყამდა კარში. მიშამ მისი რამდენიმე „შუტი“ და „ჰაოლეი“ აიღო. ა. ჟდანოვი გაოცებას ვერ მალავდა: „ბიჭოს, მეკარეც შენ ყოფილხარ თურმე“.

იმ დღის შემდეგ, მ. პირაევი კარიდან აღარ გამოსულა. მაშინ ვოროშილოვსკის (ახლანდელი სტავროპოლი) „სპარტაკში“ ბევრი ჩვენი ფეხბურთელი თამაშობდა — გავრო ბოგატელო, აჩიკო ბერძენიშვილი, ილია ჩხიკვიშვილი, სურენ აკოფოვი და სხვები. მერე იქ სათამაშოდ მიშა პირაევიც ჩავიდა შოთა გოგორიშვილთან (შემდგომში ცნობილი ტანკისტი), გოგი ვარსიმაშვილთან და ვახტანგ სარქისოვთან ერთად. მართლაც ფეხბურთის ნამდვილი ბუმი იყო იმ პერიოდში საქართველოში, დაახლოებით ისეთი, ბრაზილიაში რომაა. ყველა უმაღლეს სასწავლებელს ჰყავდა თავისი კარგი გუნდი ფეხბურთში — უნივერსიტეტს, ინდუსტრიულ, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო ინსტიტუტებს. ჩვენი ფეხბურთელები სხვა ქალაქების გუნდებში თამაშობდნენ მრავლად. სხვათა შორის, მ. პირაევს უნივერსიტეტის გუნდშიც მოუწია თამაში კონსტიტუციის თასზე ქუთაისში. დამაჯერებლად მოიგეს საპატიო პრიზი უნივერსიტეტელებმა, რომელთა კაპიტანი ოტია ჟორდანია იყო. უნივერსიტეტის გუნდს ჰერზ (კაპიტანი ვლადიმერ ჭანჭალეიშვილი) მოჰყვა, რომელიც თბილისის პირველობაზე გამოდიოდა წარმატებით.



მეგობრული შარჟი მ.პირაევზე ინგლისურ გაზეთ „ნიუს კრონიკლიდან“.

ომმა შეუშალა ხელი ფეხბურთს. მხოლოდ 1945 წელს გამოცოცხლდა კვლავ ჩვენში სპორტული ცხოვრება. ერთ დღეს მეგობრებმა მიშა „მაიდანზე“ „შაითან-ბაზართან“ მიიყვანეს სპორტსაზოგადოება „სპარტაკში“, რომელიც თავის გუნდს აყალიბებდა. მწვრთნელად ალექსეი ორლოვი დანიშნეს. მ. პირაევთან ერთად იყვნენ გარი გარიშვილი, ვახო ცვარამაძე, ვახტანგ სარქისოვი, კოტე მესხი... ვარჯიშს „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე ატარებდნენ. ორი წლის შემდეგ „სპარტაკს“ 31-ე ქარხნის გუნდი „კრილია სოვეტოვი“ (მწვრთნელი დავით ცომაია) შეუერთეს, სადაც მთელი რიგი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობდა — ავთანდილ პაიჭაძე, გარი ჯაიანი, რეზო ოსაძე, ზურაბ ქვარიანი, ირაკლი და ამირან ბურჭულაძეები, იური კატანოვი, მერაბ გამყრელიძე, ტარიელ ეპიტაშვილი. გაძლიერებულ „სპარტაკს“ მწვრთნელად ანდრო ჟორდანია დაუნიშნეს. 1948 წელს თბილისის „სპარტაკი“ საკავშირო პირველობაზე გამოვიდა „ბ“ კლასში. მეორე ადგილი მოიპოვეს ტოდოსთან, ქუთაისის „დინამოსთან“, ერევნელებთან, ბაქოელებთან, ტაშკენტელებთან, აშხაბადელებთან, ფრუნზელებთან, ვილნიუსელებთან ბრძოლაში. მომდევნო წელს „სპარტაკი“ ამიერკავკასიის ზონაში უკვე უძლიერესი იყო და როსტოვში გაემგზავრა დასკვნით ტურნირზე „ა“ კლასის საგზურისათვის. ჩვენი გუნდის კარს მიხეილ პირაევი და გივი იოსელიანი იცავდნენ მონაცვლეობით. თბილისელებმა გაიმარჯვეს ძნელ ტურნირში და უძლიერესთა შორის მონაწილეობის უფლება მოიპოვეს 1950 წლის სეზონიდან. მაგრამ მოხდა ისე, რომ ნიჭიერ მეკარეს მ. პირაევს თბილისის „სპარტაკის“ შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში არ უასპარეზია. მას ზედიზედ იწვევდნენ ლენინგრადის „დინამოში“ (მწვრთნელი მიხაილ ბუტუსოვი), მინსკის „დინამოში“ (სადაც ჩვენი ბორის ჩიტაია გამოდიოდა), ბაქოს „ნეფტიანიკში“, მოსკოვის „სპარტაკში“ (პიოტრ ისაკოვი და ალექსეი ლეონტიევი). ყველას უარი უთხრა: მშობლიურ სახლიდან არსად წავალო! ბოლოს თბილისში ვვს-იდან საგანგებოდ ჩამოვიდა ადმინისტრატორი, ცნობილი ფეხბურთელი პაველ კანუნიკოვი და, შეიძლება ითქვას, „მოიპარა“ მ. პირაევი. მანამდე ხომ იგი ორჯერ „ჩამოხსნეს“ მატარებლიდან. პ. კანუნიკოვმა მიშა ყველასთვის მოულოდნელად ბაქოს მიმართულებით წაიყვანა. ცხადია, ვასილი სტალინს — მფრინავთა გუნდის მთავარ შეფს — მ. პირაევის შესახებ იქ მოთამაშე ძველმა თბილისის დინამოელმა ვიქტორ ბერეჟნოიმ მოახსენა. მიშამ იფიქრა, ეგებ ვასილი სტალინი დამეხმაროსო რეპრესირებული უფროსი ძმის ციმბირის ბანაკიდან განთავისუფლებაშიო. ვვს-ში იმ პერიოდში კარგი მეკარეები თამაშობდნენ — ანატოლი აკიმოვი, პიოტრ არხაროვი, ნიკოლაი პუჩკოვი, ვლადიმერ კორსაკოვი. მ. პირაევი გუნდის რიგით მეხუთე მეკარე გახდა.

ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვში მის წამოსაყვანად ბორის პაიჭაძე ჩავიდა. ვასილი სტალინმა ჩვენს სახელგანთქმულ ფეხბურთელს ბანკეტი გაუმართა, მთელი მოსკოველი ქართველობა დაპატიჟა. ვასიას პაიჭაძისათვის იქვე ასე უთქვამს: „მე თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი თავგამოდებული გულშემატკივარი ვარ, მაგრამ.. სეზონში მაინც ორჯერ მინდა მისი წაგება — ჩვენს ვვს-თან შეხვედრებში პირველ და მეორე წრეში! რაც შეეხება პირაევს, მას ვერ გაგატანთ თბილისში. აი, აკიმოვს, თუ გნებავთ, დღესვე მოგცემთ „დინამოსათვის!“

ბ. პაიჭაძე თბილისში ხელცარიელი დაბრუნდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მცხეთაში დახვდა მოსკოვის მატარებლით თბილისში მომავალ მ. პირაევს. პირდაპირ ორგანოებში წაიყვანა ნიკოლოზ რუხაძესთან, რომელმაც მიშას მკაცრად უთხრა: „თუ არ ითამაშებ თბილისის „დინამოში“ მაშინ... ალმაათის „დინამოში“, ჩაგრიცხავთ!“ მიშა ყველაფერს მიხვდა, დათანხმდა. მაგრამ რამდენიმე დღეში იგი მოულოდნელად ისევ „მოიპარეს“ — ჩასვეს თვითმფრინავში და კვლავ მოსკოვში ამოაყოფინეს თავი. ამასობაში ვვს-ის გუნდის ახალ მწვრთნელს გაიოზ ჯეჯელავას თურმე შეკრებაზე... თბილისში ჩამოუყვანია. მოსკოვში მიშა სასწრაფოდ წაიყვანეს ვასილი სტალინთან სახლში, გოგოლის ბულვარზე.

— ვიფიქრე, ვასია დამსჯის-მეთქი, მით უფრო, მისმა ადიუტანტმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა სერგეი კაველკინმა გამაფრთხილა, რომ „ხაზეინი“ ჩემზე ძალიან გაბრაზებული იყო. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდად დამთავრდა. ვასილი ავად იყო, გაცივებული გახლდათ და ექიმი უვლიდა სახლში. „ა ნუ, ზახოდი, ბეგლეც!“ — დაიძახა მან. მერე არყის ჭიქა მოიმარჯვა ხელში და მეც დამალევინა. აიღო ყურმილი და პირდაპირი ტელეფონით დარეკა თბილისში: „ჩტო, უ ვას, ტამ 3 გრუზიი ნეტ სოვეტსკოი ვლასტი?! — იკითხა მკაცრად ყურმილში. ეტყობა ადრე ვიღაცამ უთხრა, რომ პირაევების ოჯახს თბილისში ახალი რეპრესიებით ემუქრებიან, თუ მე „დინამოში“ არ ვითამაშებდი.

ერთი სიტყვით, იმ დღეს მ. პირაევი საგანგებო გამყოლთან ერთად ისევ გაამგზავრეს თბილისში, მერე კი პირველად ათამაშეს ვვს-ის ძირითად შემადგენლობაში რიგაში „დაუგავასთან“ (ფრე 1-1). აი, თბილისელების წინააღმდეგ მ. პირაევს საერთოდ არ სურდა თამაში. მოსკოველებმა, კარში აკიმოვი დააყენეს ჩვენს „დინამოსთან“ მატჩში და გაიმარჯვეს 5-1. მერე ვვს-ს ერევანში ჰქონდა თამაში. კარს უკვე მ. პირაევი იცავდა. მოსკოველებმა გაიმარჯვეს 2-0, ასევე მოუგეს მათ ბაქოში „ნეფტიანიკსაც“. საინტერესოა, რომ სტადიონებზე სპეციალურად ჰყავდათ კაცი, რომელიც ვასიას ყოველ 10-15 წუთში ურეკავდა ტელეფონით ანგარიშის შესახებ. პირაევმა ორივე მატჩი მშვენივრად ჩაატარა. ვიღაცამ გაეხუმრა კიდეც, რომ ამით მან თამაში კი არა... ბინაც მოიგო მოსკოვში.

ვვს-ს მოუწია მორიგი მატჩი თბილისში „სპარტაკთან“. აკიმოვი მოულოდნელად შეუძლოდ შეიქმნა და მ. პირაევი იძულებული გახდა დამდგარიყო კარში. სტუმრები 0-1 აგებდნენ. გ. ჯეჯელავამ თავისი უმცროსი ძმა სპარტაკი გამოიყვანა ვ. ბობროვის ნაცვლად და მოსკოველებმა საპასუხო გოლი გაიტანეს თამაშის ბოლო წუთებში: 1-1.

ამის შემდეგ, კარში სულ მ. პირაევი იდგა. მალე მფრინავთა გუნდში ახალგაზრდა ნიჭიერი მეკარე მიხაილ კუდრიავცევი მოვიდა ლენინგრადის „დინამოდან“. ადრე იგი თბილისის ტოდოშიც თამაშობდა. ხანდაზმულ აკიმოვს გუნდიდან წასვლა მოუწია. გახსოვთ, ალბათ, როგორ გამანადგურებლად სძლია თბილისის „სპარტაკმა“ ვვს-ს მოსკოვში 1951 წელს: 6-0. მ. პირაევი მაშინ ჰოსპიტალში იწვა ფილტვების ანთების გამო. მ. კუდრიავცევმა პირველ ტაიმში გაუშვა სამი გოლი, მეორეში კი ამდენივე ბურთი გამოიტანა ბადიდან უკვე ნ. პუჩკოვმა.

მ. პირაევს თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგაც მოუწია თამაში. ეს იყო თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში მოსკოვში. ჰოსპიტლიდან იმ დღით გამოსული მ. პირაევი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს თამაშს. მოსკოველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ევგენი კოტოვმა მატჩის დასაწყისშივე დააზიანა ჩვენი მეკარე ვლადიმერ მარღანია, რომელმაც თავგანწირული ნახტომით ფეხიდან აართვა მას ბურთი. მიშა გასახდელისაკენ გაიქცა, დაინახა, რომ იქიდან უკვე გამოდიოდა ვასილი სტალინი ამალითურთ. „რა დროს ავადმყოფობაა?! — დაიყვირა შეფმა და იქვე დაავალა ერთ-ერთ ადიუტანტს: „სანამ მატჩი დამთავრდება, ახალი ბინის გასაღები მიეცით პირაევს!“. მართლაც მეორე დღესვე მისცეს მიშას ოროთახიანი ბინა ხოროშევის გზატკეცილზე „ბელორუსკაიას“ მეტროსთან, „ნორჩ პიონერთა“ სტადიონის წინ.

მშვენიერი გუნდი იყო ვვს-ი. ფეხბურთელები ვნუკოვოში ცხოვრობდნენ ვასილი სტალინის აგარაკზე. მაგრამ ჯერ თვით იოსებ სტალინი გაუბრაზდა ვასიას და 1952 წელს ვვს-ი ფაქტობრივად დაშლის პირას აღმოჩნდა, მერე კი, ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მფრინავთა გუნდი საბოლოოდ დაიშალა. ვვს-ი მაშინ სოჭში იყო შეკრებაზე (უფროს მწვრთნელად უკვე ლეგენდარული ვსევოლოდ ბობროვი მუშაობდა), 1953 წლის სეზონისათვის ემზადებოდა. მარტის თვე იდგა...

ვინ სად წავიდა, ვინ — სად: ნახევარი გუნდი ცსკა-ში დაბრუნდა — ნიკანოროვი, ჩისტოხვალოვი, გრინინი, დიომინი, თბილისის ტოდო-ში გადმოვიდნენ ჩაიჩუკი, ზაიცევსკი, კოვერზნევი, არხიპოვი, მოსკოვის „დინამოში“ წაიყვანეს კრიჟევსკი და კორშუნოვი. რაც შეეხება მ. პირაევს, იგი ა. ბაშაშკინთან ერთად მწვრთნელმა აბრამ დანგულოვმა მოსკოვის „სპარტაკში“ მიიწვია. ამ გუნდის კარს მაშინ ვლადიმერ ჩერნიშოვი იცავდა. პირველსავე მატჩში იგი დააზიანეს და მერე სულ მ. პირაევი იცავდა თეთრწითელთა კარს. ვ. ჩერნიშოვი მოგვიანებით მატჩების ბოლოს სულ 15 წუთით გამოჰყავდათ სათამაშოდ, რათა მასაც მიეღო მედალი. იმ წელს „სპარტაკი“ ჩემპიონი გახდა, მომდევნო, 1954 წლის სეზონში კი სპარტაკელებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს. გუნდში ახალი მეკარე ვლადისლავ ტუჩკუსი მოიყვანეს ვილნიუსიდან. იგი მიშასთან ერთად მონაცვლეობით თამაშობდა.

სეზონის დასასრულს მ. პირაევი კისლოვოდსკში ისვენებდა ნ. სიმონიანთან ერთად. მასთან ა. ჟორდანია და მ. მინაევი ჩავიდნენ სპეციალურად და თბილისის „დინამოში“ გადმოსვლა შესთავაზეს. მ. პირაევი უარზე იყო — „დინამოში“ ხომ ვოვა მარღანია თამაშობს! ბოლოს მაინც ჩამოვიდა მშობლიურ ქალაქში. ჩვენს გუნდში ვ. მარღანიას გარდა იყვნენ სხვა მეკარეებიც — შოთა კიტია. სინჯავდნენ ახალბედებს სერგო კოტრიკაძეს და ანზორ კავაზაშვილს. მცირე ტრავმის მიუხედავად კოვერზნევთან ბრძოლაში რომ მიიღო, მ. პირაევი მაინც სიხარულით ჩამოვიდა თბილისში. იმ წელს მან „დინამოში“ 8 მატჩი ითამაშა, მომდევნო სეზონში კი უკვე 13 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

1957 წლის 4 ივლისს თბილისში გაიმართა საერთაშორისო მატჩი თურქეთის „გალათასარაისთან“ (სტამბული). შეხვედრის წინ დინამოელთა ბაზაზე დიღომში მივიდა ვასილი მჟავანაძე.

— ხომ იცით, თურქებთან ისტორიულად რა დამოკიდებულება გვქონდა? აუცილებლად უნდა მოვიგოთ ეს თამაში. მოსკოვში რომ ჩავდივარ, ცეკა-ში ჩაიზე და ყურძენზე კი არ მეკითხებიან, არამედ ფეხბურთზე — რა მოუვიდაო თქვენს „დინამოს“?! — თქვა „ხაზეინმა“.

ის მატჩი მაინც წავაგეთ —2-3, გუნდიდან ერთდროულად გაანთავისუფლეს ა. ზაზროევი, ვ. მარღანია და მ. პირაევი.

... 1959 წლიდან მ. პირაევი ანდრო ზაზროევთან, თენგიზ კუბლაშვილთან და ვიქტორ პანდელოვთან ერთად სპორტულ სკოლა-ინტერნატში მუშაობდა მწვრთნელად. მომდევნო წლებში ა. ზაზროევთან „წყალში“ გურჯაანის „ალაზანს“ ავარჯიშებდა (1960-1961 წ.წ.) მერე რუსთავის „მეტალურგის“ მწვრთნელი იყო ნესტორ ჩხატარაშვილთან ერთად, ბოლოს კი თბილისის „შევარდენში“ მუშაობდა, სადაც მწვრთნელებად იყვნენ ალიოშა კოტრიკაძე, ვახტანგ რამიშვილი, ანდრო ზაზროევი და ალექსეი ორლოვი. მ. პირაევმა აქ სამი წელიწადი დაჰყო მწვრთნელად.

დღეს 75 წლის ვეტერანი მიხეილ პირაევი სისტემატურად დადის ძველ დინამოელთა გუნდის ვარჯიშებზე. მეგობრები ეხუმრებიან: „აი ფორმაში რომ შეხვალ, კარში აუცილებლად დაგაყენებთ!“

ოთარ ნოზაძე.

ფოტო მ. პირაევის არქივიდან

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა ლიგა
V ტური

„A“ ჯგუფი

გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — გრასჰოპერსი (შვეიცარია) 2-1,
1-0, 2-0 მაკკოისტი (67, პენალტით, 73), 2-1 ბერგერი (77).
აიაქსი (ჰოლანდია) — ოსერი (საფრანგეთი) 1-2,
0-1 დიომედი (11), 1-1 ბაბანგიდა (44), 1-2 მარლი (57)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გრასჰოპერსი	5	3	0	2	8-4	9
აიაქსი	5	3	0	2	7-4	9
ოსერი	5	3	0	2	6-6	9
რეინჯერსი	5	1	0	4	4-11	3

„B“ ჯგუფი

სტიაუა (რუმინეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) 1-1,
0-1 პანტიჩი (23), 1-1 ილიე (46)
ვიძევი (პოლონეთი) — ბორუსია (დორტ. გერმანია) 2-2,
0-1 ლამბერტი (14), 1-1, 2-1 დემბინსკი (15,21), 2-2 კოლერი (65)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ატლეტიკო	5	3	1	1	11-4	10
ბორუსია	5	3	1	1	9-5	10
ვიძევი	5	1	1	3	6-9	4
სტიაუა	5	1	1	3	2-10	4

„C“ ჯგუფი

ფენერბახჩე (თურქეთი) — რაპიდი (ავსტრია) 1-0,
1-0 ჰოგი (76)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — იუვენტუსი (იტალია) 0-1,
0-1 დელ პიერო (36, პენალტით)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იუვენტუსი	5	4	1	0	9-1	13
ფენერბახჩე	5	2	1	2	3-4	7
მანჩესტერი	5	2	0	3	4-3	6
რაპიდი	5	0	2	3	2-10	2

დელ პიეროს (ზოლებიან მაისურში) ერთადერთმა გოლმა „იუვენტუსი“ მეოთხედფინალში გაიყვანა.

„D“ ჯგუფი

პორტუ (პორტუგალია) — მილანი (იტალია) 1-1
0-1 დავიდსი (55), 1-1 ედმინსონი (70)
რუსენბორგი (ნორვეგია) — გიოტებორგი (შვედეთი) 1-0
1-0 კამელსრუტი (67, პენალტით)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პორტუ	5	4	1	0	10-4	13
მილანი	5	2	1	2	12-9	7
რუსენბორგი	5	2	0	3	5-10	6
გიოტებორგი	5	1	0	4	6-10	3

ამრიგად, მეოთხედფინალში გასვლა უკვე გაინაღდეს მადრიდის „ატლეტიკომა“, დორტმუნდის „ბორუსიამ“, ტურინის „იუვენტუსმა“, პორტოს „პორტუმ“.

უეფას თასი

მერვედფინალი • პირველი შეხვედრები

V ტური

ტენერიფე (ესპანეთი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0-0
ვალენსია (ესპანეთი) — ბეშიქტაში (თურქეთი) 3-1
1-0 ვლაოვიჩი (16), 2-0 ულკერი — საკ. კარში (2.3),
2-1 ოქტაი (32), 3-1 ფერეირა (90).

ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) 0-0
ბრონდბიუ (დანია) — კარლსრუე (გერმანია) 1-3
0-1 ჰესლერი (41), 0-2 ჰესლერი (44), 0,3 დანდი (79), 1-3 ბაგერი (89). დანიელმა მიოლერმა მატჩის ბოლო წუთზე ვერ გამოიყენა პენალტი
მონაკო (საფრანგეთი) — ჰამბურგი (გერმანია) 3-0
1-0 ანდერსონი (48), 2-0 იკპება (70), 3-0 ბლონდო (76)
მეცი (საფრანგეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) 1-1
0-1 ბერდსლი, პენალტით (32), 1-1 ტრაორე (57)
ბრიუგე (ბელგია) — შალკე 04 (გერმანია) 2-1
0-1 ბერგერი (21), 1-1 სტანიჩი (34), 2-1 შპეხერი (58)
ინტერი (იტალია) — ბოავიშტა (პორტუგალია) 5-1
1-0 სფორცა (5), 2-0 ანგლომა (13), 3-0 განცი (22), 4-0 სფორცა (57), 4-1 ჯიმი (61), 5-1 განცი (65).

აუქციონი

სატრანსფერო ბაზრის სიახლეები

საქართველო

პირველი წრის მიწურულს დიდი გამოცოცხლებაა საქართველოს სატრანსფერო ბაზარზე. ჯერ მწვრთნელთა შესაძლო გადაადგილებებზე მოგახსენებთ.

ამ დღეებში შევხვდით და ვესაუბრეთ თელავის „კახეთის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელს, მრავლისმნახველ და გამოცდილ საფეხბურთო სპეციალისტს **ჯონი ჯანელიძეს**.

ჩვენი გაზეთის საშუალებით მკითხველმა ამას წინათ გაიგო, რომ მძიმე ფინანსური კრიზის გამო „კახეთი“ რამდენიმე მოთამაშემ და მთავარმა მწვრთნელმა **ჯემალ მახარაშვილმა** დატოვა. სამხარეო ადმინისტრაციას მეტად შეუშფოთებია გუნდის მდგომარეობა და მისი პატრონობა შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს უფროსისთვის თამაზ თამაზაშვილისათვის დაუვალებია. ამ უკანასკნელის თაოსნობით გადადგმულა კიდეც რაღაც ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად: მოთამაშეებს, როგორც იქნა, დაურიგეს ხელფასები, მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე კი ჯონი ჯანელიძე მიუწვევიათ. ამ უკანასკნელის თქმით, მართალია, იგი შეუდგა მოვალეობის შესრულებას, მაგრამ საბოლოო თანხმობა ჯერ არ განუცხადებია. „მხოლოდ მას შემდეგ, რაც დააკმაყოფილებენ ჩემს რამდენიმე მოთხოვნას, დავთანხმდები ვიმუშაო „კახეთში“ – დასძინა ჯანელიძემ.

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს დასახული შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საფეხბურთო კლუბს. მისმა პრეზიდენტმა შსს აკადემიის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა შოთა გორგოძემ დახმარება სთხოვა ამავე სამინისტროში მომუშავე ვეტერან დინამოელ **ბესარიონ მჭედლიშვილს**. ამიერიდან იგი გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტი იქნება.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი ფეხბურთელთა შორისაც. უკვე ვიტყობინებოდით, რომ განსაკუთრებული მოთხოვნაა თბილისის დინამოელ ნახევარმცველებზე **გოჩა ჯამარაულსა** და **კახი გოგიჩაიშვილზე**. როგორც ეტყობა, საბოლოოდ, თუ სად, რომელ ქვეყანაში წავლენ ისინი სათამაშოდ, ამ დღეებში გადაწყდება. ჯერჯერობით, ყველაზე სავარაუდოა, რომ ჯამარაულს მოსკოვის „ტორპედო“, ხოლო გოგიჩაიშვილს „ვლადიკავკაზის „ალანია“ აიყვანს.

არაოფიციალურად შევიტყვეთ, რომ ამჟამად თბილისის „დინამოსა“ და ვლადიკავკაზის „ალანიის“ საფეხბურთო კლუბებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება **ზაზა რევიშვილისა** და **მურთაზ შელიას** „დინამოში“ დაბრუნების თაობაზე. „დინამომ“, სავარაუდოდ, შეიძლება კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატოს. ლაპარაკია ქუთაისის „ტორპედოელ ფორვარდ **მიხეილ აშვეთიაზე**, ზუგდიდის „ოდიშის“ საყრდენ ნახევარმცველ **ვალტერ გუჩუაზე** და დონეცკის „შახტიორის“ გოლიადორ **მიხეილ ფოცხვერიაზე**.

რუსეთი

ამას წინათ „ლელომ“ შემოგთავაზათ ინტერვიუ მოსკოვის „ტორპედოს“ მეპატრონესთან, დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „ტორპედო – ლუჟნიკების“ პრეზიდენტ ვლადიმერ ალიოშინთან, სადაც მან გადაჭრით უარყო „ტორპედოდან“ მთავარი მწვრთნელის **ვალენტინ ივანოვის** წასვლის შესახებ. ასევე ალიოშინის ვარაუდით, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ მთავარ მწვრთნელად **პავლე სადირინის** ნაცვლად დაინიშნებოდა **ანატოლი ბიშოვეცი**. როგორც ეტყობა, ჩვენი მოსკოველი რესპონდენტის სიტყვები მართლდება. გაზეთ „სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, სკ „ზენიტის“ პრეზიდენტი ვიტალი მუტკო შეხვედრია სანკტ-პეტერბურგში ჩასულ ბიშოვეცს. ჯერჯერობით ოფიციალური ცნობა გარიგების თაობაზე არ გამოცხადებულა.

რაც შეეხება ფეხბურთელთა ტრანსფერებს, ცხადია, ჩვენ გვაინტერესებს, რა ცვლილებები მოხდება მოსკოვის „ტორპედოში“ (გოჩა ჯამარაულის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით). როგორც ზემოხსენებულ ალიოშინისაგან შევიტყვეთ, სატრანსფერო საკითხებს მწვრთნელ ვალენტინ ივანოვთან ერთად 10 დეკემბერს განიხილავენ (ამ დღეს უმთავრდებათ შვებულება გუნდის მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს), ხოლო უკვე 15 დეკემბერს ცნობილი გახდება, თუ ვინ გაემგზავრება პირველ შეკრებაზე ადლერში.

ასევე უინტერესო არ უნდა იყოს ჩვენთვის მოსკოვის „სპარტაკში“ მომხდარი ტრანსფერები, ვინაიდან არაოფიციალური ინფორმაციით გავიგეთ, რომ რომანოვსა და იარცევს გადაწყვეტილი აქვთ რომელიმე ქართველი ნახევარმცველის გასინჯვა (ჯამარაული? გოგიჩაიშვილი? კობიაშვილი?).

უკრაინა

ამიერიდან დონეცკის „შახტიორში“ მოთამაშე **მიხეილ ფოცხვერიას** ახალი მეპატრონე ეყოლება – 30 წლის დონეცკის საქალაქო ბანკის მმართველი რინატ ახმეტოვი არჩეულია სკ „შახტიორის“ პრეზიდენტად (როგორც ვიტყობინებოდით, შარშან კლუბის პრეზიდენტი **ალექსანდრე ბრაგინი** სტადიონზე მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა).

ინგლისი

დიუსელდორფის „ფორტუნას“ კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამ გუნდის მეკარე **გეორგ კოხი** გაიყიდება ინგლისის პრემიერლიგის გუნდ „ჩელსიში“. ტრანსფერის თანხა 3,3 მილიონი დოლარია – სარეკორდო გერმანელ მეკარეებს შორის. „ჩელსის“ შეიძლება აჯობოს „ევერტონმა“, რომელიც მზადაა უფრო დიდი თანხა გაიღოს კოხში. სხვათა შორის, რაში სჭირდება „ჩელსის“ კიდევ ერთი მეკარე? მას ხომ ჰყავს სამი ამ ამპლუის მოთამაშე – კევინ ჰიჩკოკი, ნორვეგიელი ფრუდე გროდასი და რუსი დიმიტრი ხარინი.

რაც შეეხება კოხის შემცვლელს, ეტყობა, ქინქლაძის, ყაველაშვილის და ცხადაძის „მანჩესტერ სიტის“ მეკარე **აიკე იმელი** აპირებს გერმანიაში გადმობარგებას.

პორტუგალია

პორტუგალიის „მარიტიმუ“ წელს უხეიროდ გამოდის ეროვნულ ჩემპიონატში. კლუბი, რომელიც ყოველთვის იყო წარმოდგენილი სხვადასხვა ევროტურნირში, ამჟამად მეთოთხმეტე ადგილზეა. ჰოდა, ეტყობა, „მარიტიმუს“ მეპატრონეებს ყელში ამოუვიდათ ეს ამბავი და გადაწყვიტეს მთავარი მწვრთნელის ბრაზილიელი **პერეს მარინიოს** შეცვლა (სხვათა შორის, რიგით მესამე მწვრთნელია, რომელმაც დაკარგა სამუშაო ბოლო ორ თვეში) – ამის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა რუი ფონტიშმა.

ვენესუელა

ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ცუდად გამოდის საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. ამიტომ ვენესუელის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელ **რაფაელ სანტანასთან** კონტრაქტი დაარღვია და გუნდი ფეხბურთის კოლუმბიელ სპეციალისტს **ედუარდო ბორეროს** ჩააბარა.

ესპანეთი

ესპანეთის ჩემპიონატის მეცამეტე ტურის მატჩში, რომელშიც სახელგანთქმული „ბარსელონა“ „ვალიადოლიდს“ იღებდა, მოხდა ცნობილი თავდამსხმელის **ხოსე მარი ბაკეროს** გაცილება – ამიერიდან ეს ფეხბურთელი მექსიკის კლუბ „ვერაკრუსში“ ითამაშებს.

იტალია

იტალიურ ფეხბურთს კიდევ ერთი ლეგიონერი შეემატა: პორტუგალიელი მცველი **მანუელ არკეს ტეიშეირა დიმასი**. ტურინის „იუვენტუსმა“ ლისაბონის „ბენფიკას“ დიმასში ერთი მილიონი დოლარი გადაიხადა. როგორც იტყობინებიან, კონტრაქტი სამწლიანია. ასე რომ, 26 ნოემბერს საკონტინენტთაშორისო თასის მატჩში, ტრადიციულად ტოკიოში რომ გაიმართება, „იუვენტუსს“ უკვე შეუძლია საქმეში გამოსცადოს პორტუგალიელი ლეგიონერი.

ამ დღეებში იტალიაში შეიძლება მოხდეს კიდევ ერთი გარიგება: ინგლისური პრემიერლიგის გუნდ „ასტონ ვილას“ წარმომადგენლებს „პერუჯასთან“ აქვთ მოლაპარაკება თავიანთი იუგოსლავი ფორვარდის საფო მილოშევიჩის გაყიდვის თაობაზე. ტრანსფერის სავარაუდო თანხა 4,5 მილიონი გირვანქაა.

მექსიკა

ამ ქვეყანაში მეტად მტკივნეულად აღიქვეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ეროვნული ნაკრების დამარცხება იამაიკასთან. როგორც იუწყებიან, მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტი დაარღვია გუნდის მთავარ მწვრთნელ, იუგოსლავ **ბორა მილუტინოვიჩთან**. ვინ იქნება მისი შემცვლელი, არ იციან..

ამიერიდან მსოფლიოს ყველაზე დიდ სტადიონ „მარაკანაზე“ ერთმანეთს ქალთა უძლიერესი ბრაზილიური კლუბებიც შეერკინებიან. ფოტოზე — კლუბ „ფლუმინენსეს“ კაპიტანი 19 წლის ტოპ-მოდელი სიუზანა ვერნერი.

მკითხველის თხოვნით

ნარმოსახვითი და ნამდვილი ტომი ლაუტონი

ამ დღეებში გამოვაქვეყნეთ ცნობა გამოჩენილი ინგლისელი თავდამსხმელის, ბრიტანული ფეხბურთის სიამაყის – ტომი ლაუტონის გარდაცვალების შესახებ. მას შემდეგ ბევრი მკითხველი დაგვიკავშირდა და გვთხოვა მოგვეთხრო ტყავის ბურთის ამ ლეგენდარულ ოსტატზე, რომელზედაც ჩვენმა ახალგაზრდა თაობამ ცოტა რამ თუ იცის. ვასრულებთ მათ თხოვნას.

მოსწავლე რომ ვიყავი, ძალიან მომწონდა სახელგანთქმული გერმანელი მხედართმთავრის, პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდის გამოთქმა: „დასავლეთში მე ვარ, აღმოსავლეთში კი ერეკლე მეფე!“ 40-იან წლებში ის-ის იყო ომი რომ დამთავრდა, მოსწავლეებს საყოველთაო გატაცება ჰქონდათ, — ფეხბურთი და მალე იმ ცნობილმა გამოთქმამ ტრანსფორმაცია განიცადა და, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეთი გახდა: „დასავლეთში ტომი ლაუტონია, აღმოსავლეთში კი ბორის პაიჭაძე“.

თუ ბორის პაიჭაძის თამაშზე, ასე თუ ისე, წარმოდგენა მქონდა (მის მატჩებს 1946 წლიდან ვესწრებოდი), ტომი ლაუტონი ჩემთვის უფრო წარმოსახვაში არსებობდა. მისი თამაში არასოდეს მენახა, ან კი ვინ მანახვებდა! ვიცნობდი მხოლოდ მცირეოდენ კინოკადრებს, მას შემდეგ, რაც მოსკოვის „დინამომ“ ინგლისში იმოგზაურა. როგორი წარმოდგენა მქონდა მასზე? ჩემი წარმოდგენით, ეს იყო ტიპიური ბრიტანელი ცენტრფორვარდი, ფიზიკურად ძლიერი, ზომიერი ტექნიკით, თავით დიდებულად მოთამაშე, ძლიერი და ზუსტი დარტყმით, როგორც მარჯვენით, ისე მარცხენათი, უშიშარი, ძალისმიერ შეტაკებას რომ არ ერიდებოდა და დაცვას მიარღვევდა. შემდეგში რომ ბევრჯერ ვნახე ედუარდ სტრელცოვის თამაში, რატომღაც მას სულ ლაუტონს ვადარებდი.

მერე, როცა არაერთი საფეხბურთო ენციკლოპედიისა თუ ბრიტანული ფეხბურთისადმი მიძღვნილი წიგნების გაცნობის საშუალება მომეცა, გამოირკვა, რომ არც თუ დიდად შევმცდარვარ, ტომი ლაუტონი დაახლოებით ისეთივე ყოფილა, როგორიც წარმომედგინა.

ახლა კი მინდა ჩვენს ახალგაზრდა გულშემატკივრებს გავაცნო ძირითადი ფაქტები ამ დიდებული ფეხბურთელის სპორტული ბიოგრაფიიდან, იმ მოთამაშის მიღწევები, რომლითაც ინგლისელები დღესაც ამაყობენ და, როგორც დავინახავთ, სრულიად საფუძვლიანად.

თომას (ტომი) ლაუტონი დაიბადა 1913 წლის 6 ოქტომბერს. 1934-36 წლებში თამაშობდა „ბერლინში“, მაგრამ სახელი გაითქვა ლივერპულის „ევერტონში“, სადაც 1936-45 წლებში გამოდიოდა. 19 წლის ასაკში ინგლისის ლიგის საუკეთესო სნაიპერი გახდა — 34 გოლი გაიტანა. აი, სწორედ ამ, 1938-39 წლების სეზონიდან, როცა „ევერტონი“ ინგლისის ჩემპიონი გახდა და ლაუტონი ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს, იგი ჩაითვალა ქვეყნის ყველაზე პერსპექტიულ ცენტრალურ თავდამსხმელად. ინგლისელმა ექსპერტებმა იგი მიიჩნიეს ორი დიდი ფორვარდის ნამდვილ მემკვიდრედ. ერთი მათგანი იყო უილიამ რალფ („დიქსი“) დინი, რომელიც 1925-38 წლებში ბრწყინავდა სწორედ იმ „ევერტონში“, სადაც იგი ლაუტონმა შეცვალა. ინგლისელ სტატისტიკოსებს მოჰყავთ ასეთი მონაცემები: დიქსი დინმა ჩემპიონატის 399 კალენდარულ თამაშში გაიტანა 379 გოლი, 1927-28 წლების პირველობაზე 39 თამაშში 60 (!), ნაკრების 16 მატჩში — 18 (!). ლაუტონს „ახალგაზრდა დინს“ უწოდებდნენ, ვეტერანიც ძალზე მაღალი აზრისა იყო თავისი შემცვლელის ოსტატობაზე. მეორე მხრივ, ტომის „ახალი დრეიკი“ დაარქვეს და ახლა მის მემკვიდრედ თვლიდნენ. ედუარდ (ტედ) დრეიკი 1929 წლიდან ჯერ „საუთჰემპტონში“ თამაშობდა, 1934-45 წლებში კი „არსენალში“. ლიგის 240 მატჩში 197 გოლი გაიტანა, 1935 წელს კი ბირმინგემის „ასტონ ვილასთან“ შეხვედრაში პირდაპირ ფუროორი მოახდინა — 7 გოლი გაიტანა, ამასთან, კარში პირველი 6 დარტყმიდან ექვსჯერვე (!) მიაღწია მიზანს, რაც პირდაპირ არნახული ამბავი იყო.

ინგლისის ნაკრები, რომელმაც 1948 წელს ტურინში დაამარცხა იტალიის ნაკრები ანგარიშით 4:0. მარცხნიდან: ჰოუ (სურათზე სრულად არა ჩანს), ფინეი, კოკბერნი, ბილ რაიტი, ლაუტონი, მორტენსენი, მანიონი, მეტიუზი, ფრანკლინი, სკოტი, სვიფტი.

აი, როგორი ოსტატების შემცვლელად მოგვევლინა ტომი ლაუტონი, რომლის შეჩერება ინგლისელ (და არა მარტო ინგლისელ) მცველებისათვის მთელი პრობლემა იყო. 1945 წელს ლაუტონი ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა და მონაწილეობდა ცნობილ მატჩში მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ. გარდა ამისა, იგი მოგვიანებით თამაშობდა „ნოთს ქაუნთისა“ (სადაც 151 მატჩში 90 გოლი გაიტანა) და „ბეენთფორდში“, ხოლო კარიერა 1956 წელს ლონდონის „არსენალში“ დაამთავრა. საინტერესოა, რომ 1955 წლიდან მოყოლებული, იგი უკვე მოთამაშე მწვრთნელი იყო.

რა თქმა უნდა, ცალკე აღნიშვნის ღირსია ლაუტონის გამოსვლები ეროვნულ ნაკრებში. იმ წლებში, გასაგებია, იგი გაცილებით ნაკლებს თამაშობდა, ვიდრე, ვთქვათ, დღეს მისი მემკვიდრენი. ნაკრებში ტომის დებიუტი ჰქონდა 1938 წლის 22 ოქტომბერს, კარდიფში, უელსელების წინააღმდეგ. ეს მატჩი სტუმრებმა წააგეს — 2-4, მაგრამ 19 წლის ლაუტონის თამაშმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ტომი ნაკრებს 10 წლის შემდეგ გამოეთხოვა: 1948 წლის 26 სექტემბერს კოპენჰაგენში ითამაშა (0-0) დანიის ნაკრების წინააღმდეგ. 23 გოლი 23 მატჩში — ასეთი იყო მისი გამოსვლების შედეგი ქვეყნის ნაკრებში.

შეიძლება დღევანდელ გულშემატკივრებს გაუკვირდეთ კიდეც — 1947 წლისათვის ფეხბურთელთან საკონტრაქტო თანხის რეკორდი იყო სულ 9 ათასი გირვანქა სტერლინგი. ამ წელს კი ლაუტონთან 20 ათასი გირვანქა სტერლინგიანი კონტრაქტი გააფორმეს.

უკანასკნელ ხანებამდე ლაუტონი ნოტინგემში ცხოვრობდა, სადაც ერთ-ერთ გაზეთში თანამშრომლობდა. დიდმა ფეხბურთელმა 77 წელი იცოცხლა.

გივი გამრეკელი

სტენ კოლიმორი: „ლივერპულამდე“ შემეძლო ყოველი ღამე გოგონებთან გამეტარებინა“

შარშან ბევრს გაუკვირდა – ინგლისის „ლივერპულმა“ „ნოტინგემ ფორესტის“ ზანგ ბომბარდირ (სეზონში – 23 გოლი) სტენ კოლიმორში რომ სარეკორდო თანხა – 8,5 მილიონ გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. საქმე ისაა, რომ „ბითლზების“ საყვარელ გუნდ „ლივერპულში“ თავდასხმის ხაზზე საქვეყნოდ ცნობილი ფოულერი, მაკმანამანი, რედნაპი და რაში გამოდიოდნენ, როი ევანსმა კი ახალბედას ჯენტლმენის სიტყვა მისცა – შემადგენლობაში მოხვდები. თანაც მოხდა ისე, რომ მალე უელსელ ვეტერან იან რაშს „ქანცი გაძვრა“ და კოლიმორმაც გაილაღა.

მიუხედავად იმისა, რომ კოლიმორს არ უყვარს ჟურნალისტებთან ურთიერთობა, ჟურნალ „გოლს“, ინგლისში რომ ძლიერ პოპულარულია, ინტერვიუ მაინც მისცა.

● როგორ მოხვდით ფეხბურთში?

— დავიბადე ვულვერჰემპტონის ახლოს. მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. ძნელია უმამობა, მაგრამ ბედს არ ვუჩივი. ერთი ის იყო ცუდი, რომ ჩვენს პატარა დასახლებაში ფეხბურთის სპეციალისტის გამოჩენა იშვიათობა გახლდათ. ამის გამო ბევრი ახალგაზრდის ნიჭი გამოუყენებელი დარჩა. ბედმა გამიღიმა. 16 თუ 17 წლის ასაკში (აღარც კი მახსოვს) „უოლსოლმა“ ამიყვანა გამოსაცდელი ვადით. ექვსი თვის შემდეგ კი „ვულვერჰემპტონის“ ახალგაზრდულ ნაკრებში უკვე 15-20 გოლი გამქონდა. მეგონა, „მგლები“ ვერ შემელეოდნენ, მაგრამ მათ სტივ ბულთან კონტრაქტის გაფორმება ამჯობინეს. ასე აღმოვჩნდი უფრო დაბალი ლიგის გუნდ „სტაფორდ რეინჯერსში“.

● ეს ნიშნავდა, მშვიდობით დიდებავ?

— არა. ყოველთვის მჯეროდა ჩემი ძალისა. მთავარია, მოვხვდი ფეხბურთის სამყაროში.

სხვათა შორის, დამავიწყდა ერთი პიროვნების დამსახურების აღნიშვნა.

● ვისი?

— მამის. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა ოჯახი ჰყავდა, ყველანაირად ხელს მიწყობდა საფეხბურთო კარიერის შექმნაში, მისი დიდი შემწეობით მოვხვდი „უოლსოლში“, შემდეგ კი „ვულვერჰემპტონში“.

● როდის შეაბიჯეთ ნამდვილად დიდ ფეხბურთში?

— „სტაფორდის“ შემდეგ, ოთხი კოშმარული წელი „კრისტალ პალასში“ გავატარე. ნაკლებად გამოვდიოდი მინდორზე, საშინელ განწყობაზე ვიყავი. უეცრად გამიმართლა. შევხვდი კოლინ მერფის — შესანიშნავ პიროვნებასა და „საუთ-ენდის“ სელექციონერს. მან მიმიწვია თავის გუნდში. იქ კი სახელგანთქმული ბარი ფრაი მოღვაწეობდა. ეს ერთ-ერთი სასიამოვნო დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში.

● შეადარებთ დღევანდელობას?

— მაშინ ყველაფერი უფრო მარტივი იყო. შემეძლო ყოველი ღამე გოგონებთან გამეტარებინა და არ მეშინოდა ვინმეს თვალთვალის.

● ახლა?

— ახლა? ადრე მონადირე ვიყავი ახლა თანდათან ნადავლს ვემსგავსები. აბეზარი ჟურნალისტები მაღიზიანებენ. ბოლოს როდის დავისვენე, არ მახსოვს.

● შეგახსენებთ. ორი წლის წინ შობის დღესასწაულზე, როდესაც თქვენ ჯიმი რედნაპი და ოთხი ლივერპულელი ახალგაზრდა კვიპროსს ეწვიეთ. პირველი ათი დღე ყველაფერი კარგად იყო, აი შემდეგი ოთხი კი...

— ნუღარ გააგრძელებთ. ასე მგონია, თქვენც იქ იყავით.

● რას ვიზამთ, სენსაციური ამბები სწრაფად ვრცელდება.

— კეთილი, გიამბობთ. კვიპროსი იმიტომ ავირჩიეთ, რომ იქ არავინ გვიცნობდა. თავიდან ყველაფერი კარგად იყო. შემდეგ ორმა ჟურნალისტმა გვიცნო. ტურისტებად წარმოგვიდგინეს თავი და ჩვენც დავმეგობრდით. მაგიდასთან საუბრის თემა ქალები იყო. ჩვენც „მეგობარ ტურისტებს“ გული გადავუშალეთ. მეორე დღეს კი გაზეთებში გაჩნდა სტატია „ექვსი გახრწნილი ლივერპულელი“. ბევრი ვეძებეთ ავტორები, მაგრამ ველარ ვიპოვეთ.

● ისინი ხომ არ იყვნენ, რომლებმაც თქვენს მეგობარ ქალს ფული შესთავაზეს თქვენთან ინტიმური ცხოვრების დეტალების გასაზიარებლად?

— არა. ფული ლონდონელმა ჟურნალისტებმა შეაძლიეს — 200 გირვანქა იმისათვის, რომ დიანას ჩემთან საწოლში ჩაწოლამდე დიქტოფონი ჩაერთო.

● ჩართო?

— ო, არა! ფული მართალია გამოართვა, მაგრამ მე და დიანამ დიქტოფონს უნიტაზში გადავუშვით.



● თქვენი მეგობარი ჯონ ბარნსი ყველას ურჩევს დაგისვათ კითხვა: რად გინდათ 35 ათასი გირვანქიანი ავტომობილი?

— მიყვარს ძვირფასი ნივთები. ისე, ფულში არაა ბედნიერება.

● ადამიანს, რომელსაც კვირაში 12000 გირვანქა სტერლინგი შემოსავალი აქვს, შეუძლია იფილოსოფოსოს...

— სჯობს მუსიკაზე ვილაპარაკოთ.

● რადგან ასეა, როგორი მუსიკა მოგწონთ?

— ვაღმერთებ ზანგთა მუსიკას, „სოული“, „რეგი“, ჯაზი, ბობ მარლი და ლუის არმსტრონგი ჩემი იდეალებია.

● უფრო თანამედროვე?

— ბოდიში ფანატი არა ვარ.

● გავრცელებულია აზრი, თითქოს ფეხბურთის ვარსკვლავებს სულ ცოტა 400 000 ფუნტად ღირებული ბინები აქვთ და დიდი გემოვნებით არ გამოირჩევიან.

— არავითარ შემთხვევაში. განა არ გაგიგონიათ, რაც უფრო მდიდარია ადამიანი, მით უფრო მოკრძალებულად ცხოვრობს. ჰკითხეთ კლინსმანს ან კანტონას და გაიგებთ რა ღირს მათი ბინები.

● რას იტყვით ფოულერ-რადოკის ჩხუბზე?

— ჩხუბი? თუმცა, რადოკს, როცა ცუდ გუნებაზეა, თავის შეკავება უჭირს.

● როგორც ვიცი, თქვენ ხელი მოაწერეთ კონტრაქტს იტალიური ფირმა „დიადორასთან“.

— დიახ. მალე მაღაზიებში გამოჩნდება სპორტული კომპლექტები ამ ფირმის ნიშნით.

● თურმე, თქვენ მოდელიორიც ყოფილხართ.

— აი, აქედან უნდა დაგვეწყო!

მოამზადა
ნანა გვეტაძე

სურათებზე:
სტენ კოლიმორი

---

24 საათი არც გასულა და გადადგა

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით ჩვენი ნაცნობის, პორტუგალიური საფეხბურთო კლუბ „ბოავიშტას“ იუგოსლავი მწვრთნელი ზორან ფილიპოვიჩი მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა უეფას თასის გათამაშების მატჩი წააგო იტალიის „ინტერთან“ (1-5) პორტუგალიაში დაბრუნებისთანავე განცხადება დაწერა გადადგომის შესახებ. „ბოავიშტას“ მეპატრონეებმა ეს თხოვნა დააკმაყოფილეს.

● **„მილანის“** ხელმძღვანელობა სარგებლობს იმით, რომ იტალიურ კლუბებში არავინ ზღუდავს ლეგიონერთა რაოდენობას, იწვევს და იწვევს უცხოელ მოთამაშეებს. ფულვიო ბერლუსკონი არასოდეს იჩენდა სიძუნწეს, აი, ახლაც 3 მილიონი დოლარი გადაიხადა 22 წლის „გეტებორგის“ ნახევარმცველ იესპერ ბლომკვისტში.

მაინც რა ნახეს „მილანის“ მესვეურებმა ამ ფეხბურთელში? როგორც ცნობილი გახდა, მათ ბლომკვისტი მოსწონებიათ „მილანის“ წინააღმდეგ ჩატარებულ ჩემპიონთა ლიგის მატჩში.

● **ამ** ზაფხულს ანდორა უეფას 51-ე წევრი გახდა და უკვე მოასწრო ნაკრების დონეზე პირველი ოფიციალური მატჩის ჩატარება. ამიერიდან ამ ჯუჯა სახელმწიფოს ფეხბურთის ფედერაცია უკვე ყველა ევროპულ შეჯიბრებაში აპირებს მონაწილეობას, რათა არ ჩამორჩეს სან-მარინოსა და არც ლიხტენშტეინს.

ანდორაში სულ 64311 მცხოვრებია, ქვეყანას 468 კვადრატული კილომეტრი უკავია, ოფიციალური ენა კატალონურია, სამად-სამი საფეხბურთო მინდორი აქვს, მაგრამ 200 სასტუმრო, რადგან იქ ტურიზმი ძლიერ განვითარებულია.

ანდორელთა პირველი ოფიციალური მატჩი ნაკრებების დონეზე ესტონელებთან შედგა. ბალტიისპირელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 6-1, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ექო

ტაისონი: – ღმერთო ჩემო, ამას რას ვსჩადიოდი რინგზე!

პოლიფილდი: მარტში სრულ მზადყოფნაში არ ვიქნები მატჩ-რევანშისთვის

გამორიცხული არაა, რომ ახალგამომცხვარი მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონი კრივში, ვბა-ს ვერსიით ევანდერ პოლიფილდი რინგზე აღარ გამოვიდეს. ეს მან გაკვრით აღნიშნა ჟურნალ TIME-სათვის მიცემულ ტაისონთან გამარჯვების შემდგომ ინტერვიუში. „შესაძლოა, საერთოდ მივატოვო კრივი. რაზეა დამოკიდებული ჩემი გადაწყვეტილება? იმაზე, თუ როგორ წამივა ძალთა აღდგენის პროცესი, და კიდევ იმაზე, რას იტყვის ცოლი ჯენისი". ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე პოლიფილდს უკვე ასე გადაჭრით არ უთქვამს რინგიდან წავალო და ტაისონის პირველსავე სიტყვაზე (იგი დარბაზში არ ყოფილა, ჟურნალისტებთან ტელეარხით ჰქონდა ურთიერთობა) მატჩ-რევანშის შესახებ ევანდერს უარი არ უთქვამს. „პრინციპში თანახმა ვარ, მაგრამ არც მისი პაიპარად ჩატარება მინდა. კვლავინდებურად მაწუხებს მხრის ძველი ტრავმა, და უბრალოდ, ვერ მოვასწრებ მარტში სრულ მზადყოფნას. სხვათა შორის, მიმაჩნია, რომ ამ მიზეზით წავაგე ბრძოლა დადიკ ბაუისთან. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ევანდერ პოლიფილდის წინაშე, რომელმაც რკინის მაიკთან ბრძოლის შედეგად მესამედ მოიპოვა ოქროს ქამარი (ასეთი შედეგით მხოლოდ მუჰამედ ალი დაიკვეხნის). რთული ამოცანა დგას. იგი რომ ახლა დათანხმდეს ტაისონთან მატჩს, — „განაწყენებული მაკლ მურერთან, რადიკ ბაუისთან და ლენოქს ლუისთან მომავალ შეხვედრებზეც უნდა იფიქროს, ერთი რამ ცხადია — მატჩ-რევანში რომ შედგეს, ახლანდელი ჩემპიონი ალბათ არ დათანხმდება საპრიზო თანხის ისეთ განაწილებას, როცა დამარცხებულმა ტაისონმა 30 მილიონი დოლარი მიიღო, გამარჯვებულმა პოლიფილდმა — მხოლოდ 11 მილიონი. ამავე პრეს-კონფეკრენციაზე ცნობილი გახდა ტაისონ-პოლიფილდის ბრძოლის საინტერესო დეტალიც. „მას შემდეგ, რაც მესამე რაუნდში თავში ძლიერი დარტყმა მივიღე, ბურუსში ვიყავ. აბსოლუტურად არაფერი მახსოვს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ასე თუ ისე, მოვეგე გონს, და როცა შეხვედრის ვიდეოჩანაწერი მაჩვენეს, გავვოცდი: „ღმერთო ჩემო, ეს რეები ჩამიდენია რინგზე!". ეს იყო ტაისონის დაგვიანებული აღიარება.

„სპორტ ექსპრესი"
20. XI. 96 წ

გარდაიცვალა ჯულიონო ჯულიონი

38 წლის ასაკში გარდაიცვალა წარსულში ცნობილი იტალიელი მეკარე ჯულიონო ჯულიონი. ეს ფეხბურთელი, როგორც იუწყებიან, რომელიღაც ინფექციური დაავადებით იყო შეპყრობილი და საავადმყოფოში იწვა.

ჯულიონი და დიეგო მარადონა ერთად თამაშობდნენ „ნაპოლში", ამ გუნდმა 1989 წელს მოიგო უეფას თასი, მომდევნო წელს კი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ამ წარმატებებში დიდი იყო ჯულიონის დამსახურება.

ნახვამდის, გაბი!

ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" დაიწყო უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელზეც სახელგანთქმული არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი, 26 წლის გაბრიელა საბატინი დიდი ჩოგბურთიდან გააცილეს.

სურათზე: „ნახვამდის, გაბი! — ეუბნებიან საბატინის მონიკა სელეში (მარცხნივ) და შტეფი გრაფი (ცენტრში).

რეიტერის ფოტო

ვაჟებმაც დაიწყეს

გერმანიის ქალაქ ჰანოვერშიც დაიწყო ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი (საპრიზო ფონდი 3 მილიონ 300 ათას დოლარს შეადგენს). ორივე ასპარეზობის შედეგებს «ლელოს» შემდეგ ნომერში გაგაცნობთ.

სხვადასხვა დროის მსოფლიო ჩემპიონები

ივან ლენდლი
1981. 1982. 1985. 1986. 1987

ჯონ მაკინროი
1978. 1983. 1984

ილიე ნასტასე
1971. 1972. 1973. 1975



ბორის ბეკერი
1988. 1992. 1995

შერეული კროსვორდი



თარაზულად: 5. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ქალი, 6. საგუნდო შეჯიბრება რბენაში, ცურვაში... 9. კოლექტიური მეურნეობის წევრი, 11. გატაცება, თავდავიწყება, 12. კარტი ანუ..., 14. მაყურებელთათვის განკუთვნილი სართული, 18. ქართველი მწვრთნელი ფეხბურთში (მუშაობდა სოხუმის „ცხუმში", სენაკის „ეგრისში"), 20. საბერძნეთის დედაქალაქი, 21. საპატიო წოდება, 22. XIX საუკუნის ქართველი მწერალი, 23. იაპონიის ქალაქი, სადაც ააფეთქეს ატომური ბომბი, 24. ბერძნული მითიური გმირი.

შვეულად: 1. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უმაღლესი სათათბირო ორგანო, 2. ნბა-ში მოთამაშე პოპულარული ამერიკელი კალათბურთელი, 3. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 4. შემოსავალ-გასავლის ჯამი, 7. პოპულარული მწერალი — ფანტასტი, 8. მჭიდროდ თამაში მეტოქესთან, 10. სასროლი იარაღი, 12. ლეგენდური სიუჟეტის ლექსი, 13. ილფი და პეტროვის პოპულარული ნაწარმოებების მთავარი გმირის სახელი, 15. ფეხბურთელი, რომელმაც დიდი არეულობა შეიტანა საფეხბურთო ევროპაში, 16. დეტექტიური ჟანრის ცნობილი ამერიკელი მწერალი, 17. ლიუბლიანის საფეხბურთო კლუბი, 19. საქართველო-ინგლისის საფეხბურთო მატჩში სტუმართა გუნდის კაპიტანი, 21. ილეთი ჭიდაობაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 2. ტარანენკო, 4. ბლიცი, 5. გლიხა, 6. გორელიკი, 7. ტრაპაიძე, 11. ბერტონი, 13. ჰიმალაი, 15. ფარიკაობა, 16. კრიპა, 17. პრატი, 20. ტვენტე, 22. ილიადი, 25. „აზოტი", 28. შტურმი, 29. იონოვი, 30. შავლო. 31. ისტომინი, 32. „აბერდინი".

შვეულად: 1. „ანცი", 2. ტრიალი, 3. ოლიმპი, 6. გომელსკი, 8. ესტაფეტა, 9. ეტლი, 10. რალი, 12. იამანიძე, 13. „ჰამბურგი", 14. შკაპენკო, 18. პენტო, 19. „ლანსი", 20. ტრაპატონი, 21. ტარაში, 23. „ლიმოჟი", 24. ონიაშვილი, 26. გრაფი, 27. ფილია.

პელეს მამა მოუკვდა

ერთი კვირის წინ ქ. სანტოსში, გულის შეტევით, 79 წლისა გარდაიცვალა ჟოა რამოს დუ ნასიმენტო — ფეხბურთის მეფის, პელეს მამა. ახალგაზრდობაში პელეს მამაც ფეხბურთელი იყო. იგი სანტოსში დაკრძალეს, ქალაქში, სადაც პელემ თავისი საუკეთესო საფეხბურთო წლები გაატარა.

საჭადრაკო ამოცანა

რ. გარიგალაშვილი
(სოფ. ჩარგალი)



შამათი 2 სვლაში

„ლელოს" 75-ე ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მეd4! მეc2
2. კa4+ მეb1
3. მეe3 მეc1
4. მეd3+ მეb1
5. კc2X!

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები ი. სიდამონიძე, მ. წოწორია, ნ. რამიშვილი